

## თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №22

ქ. თბილისი

2018 წელი, 27 ივლისი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით უთმელიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ბექა დავითულიანი, გოჩა თევდორაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

მაია ბითაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გაიზო თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

რუსუდან მირზიკაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი

თეიმურაზ ბოლოთაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ვასილ აბულაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

თამარ კაციტაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი



## დღის წესრიგი:

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03182013-03)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031820624-03)
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031819920-03)
4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (12-0318207108-03)
5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- 12-031818443-03 (03.07.2018 წ)

(AR1578904) ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.055, ფართობი: 123 კვ.მ)



მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

- 12-031819057-03 (09.07.2018 წ)

ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

- 12-0318207109-03 (25.07.2018 წ)

- ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის I ჩიხი, №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№ 01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030, ფართობი: 4 590 კვ.მ); მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (011812525-67)
- ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა #115, რუსთავის გზატკეცილი, დასაწყისში ფერდობი 1ა მდებარე მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი: №№ 01.18.09.009.011; ფართობი 69 კვ.მ.) მიმდებარედ მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა1-ით (ტზ-1) ცვლილება (01181662770-67)
- ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით (10/01181903928-67)
- ქალაქ თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.11.19.007.021. ფართობი: 1 869 კვ.მ) და მის მიმდებარედ ჯამში 2021 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) (10/01181903928-67)



6. ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (12-03182002-03);
7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12 000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031819252-03)
8. ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, როსტევეანის ქ. N61, ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022, ფართობი: 15254.00 კვ. მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე (12-031820542-03)
9. ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ივლისის N18.596.904 განკარგულებით განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (12-0318207147-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03182013-03)



საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ქალბატონმა ბაია ბითაძემ. მისი თქმით, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამოქმედებული კანონმდებლობა მართალია აწესრიგებდა ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროებს და განსაზღვრავდა ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ჩამონათვალს, ადგენდა ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესებს, თუმცა აღნიშნული არ ითვალისწინებდა რეგულაციების დაწესებას მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი სექტორებისთვის, როგორცაა მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანა. შედეგად, საქართველოს დედაქალაქში ნებისმიერი მსუბუქი ავტომობილის ტაქსად გამოყენება შესაძლებელი იყო, ნებისმიერ მძღოლს, რომელსაც ჰქონდა მართვის მოწმობა, შეეძლო მგზავრთა გადაყვანით დაკავება ყოველგვარი ნებართვის გარეშე, არ მოითხოვებოდა რაიმე სახის სტანდარტების დაკმაყოფილება მძღოლის და მსუბუქი ავტომობილის მიერ, უკონტროლოდ იზრდებოდა ტაქსების რაოდენობა საქართველოს დედაქალაქში, მგზავრთა გადაყვანის მიზნით გამოყენებული მსუბუქი ავტომობილების დიდი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია (რაც პირდაპირ კავშირშია მგზავრის უსაფრთხო გადაადგილებასთან), არ არის დაცული სისუფთავე, მგზავრთა გადაყვანით დაკავებული მძღოლების ნაწილი არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს (ქუჩების/მისამართების ცოდნა).

2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და 7 ივლისიდან ამოქმედდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი ვითარების ეტაპობრივად დარეგულირებას. კერძოდ, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლს დამატებული 261 პუნქტის მიხედვით ნებართვის სახეებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა, ხოლო კანონს დამატებული 265 მუხლის მიხედვით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას გასცემს საქართველოს დედაქალაქის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი საქართველოს დედაქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული, ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში, საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო კი ამტკიცებს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს.

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლს დამატებული „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით თბილისის საკუთარ უფლებამოსილებებს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, ნებართვის მფლობელთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლებისა



და დამუშავების წესის განსაზღვრა, 75-ე მუხლს დამატებული „ე.გ1“ ქვეპუნქტით მთავრობის უფლებამოსილებებს დაემატა თბილისის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის წარდგენა, ხოლო იმავე 75-ე მუხლს დამატებული „ე.გ1“ ქვეპუნქტით - საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემა ან აღნიშნული ნებართვის გაცემის უფლებამოსილების თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულისთვის მინიჭება. ამასთან, 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანულ კანონში ცვლილების მე-2 მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დაევალა 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელთა შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის დასამტკიცებლად წარდგენა.

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლს დამატებული 111 პუნქტის მიხედვით კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტებას დაემატა ახალი განმარტება - მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანა, ხოლო 51 მუხლს სანებართვო საქმიანობის სახედ „ა1“ ქვეპუნქტით დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“, შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (მერიის წერილის და სამინისტროს პასუხის ქსეროასლები ერთვის პროექტს).

დადგენილების ამოქმედების შედეგად დამატებით შემოსავლებს მიიღებს დედაქალაქის ბიუჯეტი, ვინაიდან ახალი სახის ნებართვის შემოღების შედეგად ნებართვის მაძიებლები გადაიხდიან ნებართვის გაცემის ფასს.

*კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა და შემდგომი მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით, კერძოდ*



*„მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი*

*გ) ავტომობილებზე ვიზუალური კუთხით ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი საშუალების არსებობის და ასეთის არ არსებობის შემთხვევებისათვის.*

*დანართში არსებული მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი*

*ბ) მომსახურების გაწევისას თუ იყენებს ტაქსის აღმნიშვნელ ყვითელ მანათობელ ნიშანს ან ავტომობილს გააჩნია ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი საშუალება, მძღოლი ვალდებულია ტაქსის აღმნიშვნელი ყვითელი მანათობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე;*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და ზ/აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031820624-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიზო თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის N1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 916 863,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის



გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მშენებლობა აღდგენა (კოდი 010101) 10 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 010108) 475,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 010109) 309,4 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 010110) 29,5 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 010111) 250,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 010112) 10,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 010113) 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 010114) 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 010116) 400,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 010201) 1 048,4 ათასი ლარით, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 0207) 555,0 ათასი ლარით, 2 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 020911) 155,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 020912) 570,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 020913) 190,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 020916) 730,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 020918) 346,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 020919) 899,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210) 300,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) 100,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 0404) 5,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) 255,0 ათასი ლარით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 070204) 500,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოსათვის, კულტურის ღონისძიებები (კოდი 08 05) 1 000,0 ათასი ლარით კულტურის სფეროში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, სპორტული ღონისძიებები (კოდი 080601) 500,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 0901) 12,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 1002) 1 010,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 1033) 51,0 ათასი ლარით. ამასთან, ემატება ახალი ქვეპროგრამა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070303) 289,8 ათასი ლარის ოდენობით. მცირდება: გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 010114) 630,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 010117) 16,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 020910) 125,0 ათასი ლარით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 0410) 10,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 0501) 6 677,9 ათასი ლარით, მათ შორის ნაძალადევის რაიონში 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 600,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 781,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 10,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 525,1 ათასი ლარი, ისნის რაიონში 500,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 626,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 846,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში 2 189,8 ათასი



ლარი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (კოდი 070207) 100,0 ათასი ლარი, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 070301) 5,5 ათასი ლარი, თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070302) 253,6 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 070602) 900,0 ათასი ლარით, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (კოდი 080402) 36,2 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 080312) 12,6 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 080404) 23,6 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604) 600,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 1026) 1 200,0 ათასი ლარით.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ.“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.*

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031819920-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა. კერძოდ, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (სსმ ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 27/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.05.001.018875) განხორციელებული



ცვლილებების შედეგად, ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის გაიზარდა მოსაკრებლის ოდენობა 4 ლარამდე, ასევე, განისაზღვრა მოსაკრებლის ოდენობა ხაზობრივი ნაგებობისა და ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების ასახვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციაში.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად*

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (12-0318207108-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ქლბატონმა რუსუდან მირზიკაშვილმა. მისიი თქმით, პროექტის მიხედვით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში სწორდება ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, დადგენილების მე-9 მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის რეგულირების სფეროში (გამონაკლისებში) უნდა მოექცეს დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმები და არა ზოგადად განაშენიანების რეგულირების გეგმები.

ქალაქის სწორი განვითარებისა და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით მაღალი ინტენსივობის ტერიტორიების უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი პროექტით სამრეწველო ზონა 1-ს სპეციალური ზონალური შეთანხმებით დაშვებულ სახეობას ემატება „სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი“.



რაც შეეხება დადგენილების მოქმედების გავრცელების საკითხს, იგი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მე-9 მუხლში ტექნიკური ხარვეზის გასწორების ნაწილში, მისი მოქმედება გავრცელდება 2018 წლის 13 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ამ დღეს ამოქმედდა დადგენილებაში ცვლილება, რომელიც ამ ტექნიკურ ხარვეზს შეიცავდა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- 12-031818443-03 (03.07.2018 წ )

(AR1578904) ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.055, ფართობი: 123 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

- 12-031819057-03 (09.07.2018 წ )

ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

- 12-0318207109-03 (25.07.2018 წ )

➤ ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის I ჩიხი, №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№ 01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030, ფართობი: 4 590 კვ.მ); მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (011812525-67)



- ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა #115, რუსთავის გზატკეცილი, დასაწყისში ფერდობი 1ა მდებარე მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი: №№ 01.18.09.009.011; ფართობი 69 კვ.მ.) მიმდებარედ მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა1-ით (ტზ-1) ცვლილება (01181662770-67)
- ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით (10/01181903928-67)
- ქალაქ თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.11.19.007.021. ფართობი: 1 869 კვ.მ) და მის მიმდებარედ ჯამში 2021 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) (10/01181903928-67)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ ა/წლის 26 ივლისს №12-0318207109-03 წერილით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მათ შორის ა/წლის 10 ივლისს #20 ოქმით გადადებული 2 ზონალური ცვლილება (№12-031818443-03. 03.07.2018წ - AR1578904; №12-031819057-03.09.07.2018წ - 01181062372-67). საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა ეკა ცეცხლაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 6 წინადადება, კერძოდ:

- 1) (№12-031818443-03. 03.07.2018წ), AR1578904, ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.055, ფართობი: 123 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. *მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილებას მიეცეს დადებითი შეფასება.*
- 2) (№12-031819057-03.09.07.2018წ) (01181062372-67, ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს საკუთრებაში



რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. *მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილებას მიეცეს დადებითი შეფასება.*

- 3) (№12-0318207109-03 - 26.07.2018წ) ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის I ჩიხი №3; ქუჩა თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030, საერთო ფართობი: 4 590 კვ.მ) მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №398 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობაზე. *აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.07.021.017; 01.13.07.021.026; 01.13.07.021.019; 01.13.07.021.015; 01.13.07.021.014; 01.13.07.021.044; 01.13.07.021.030, საერთო ფართობი: 4 590 კვ.მ) ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.*
- 4) (№12-0318207109-03 - 26.07.2018წ) ქალაქი თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, დასაწყისში ფერდობი 1ა (ნაკვეთი 09/011) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.09.009.011; ფართობი: 69 კვ.მ) მიმდებარედ, მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად არსებულ ზონებზე გადის გზათა ქსელი. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. *აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.09.009.011; 01.18.09.009.015 ფართობი: 69 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.*
- 5) (№12-0318207109-03 - 26.07.2018წ) ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ) ეკონიმიკის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე შპს „პრემიუმ რეზიდენსი“-ს მიერ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით; *ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტრამვაის გაჩერების ყოფილ მოედანს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით არის უფუნქციო და*



*ავტომობილებით დაკავებული, შესაბამისად მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) მისაღებად;*

6) (№12-0318207109-03 - 26.07.2018წ) ქალაქ თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.19.007.021, ფართობი: 1 869 კვ.მ) და მის მიმდებარედ ჯამში 2021 კვ.მ ფართობზე ეკონომიკის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე შპს „პრემიუმ რეზიდენსი“-ს მიერ მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1); *ქერჩის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ყოფილ სამრეწველო ტერიტორიაზე, რომელზეც მიმდინარე გენერალური გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1), შესაბამისად მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.19.007.021, ფართობი: 1 869 კვ.მ) და მიმდებარედ ჯამში 2 021 კვ.მ-ზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებად.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 6 წინადადება გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

6. ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (12-03182002-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა თამარ კაციტაძემ. მისი თქმით, გრგ-ს (საქმე №12-03182002-03. 19.07.2018წ. AR1587456), პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 22 მარტს AR1587456 განცხადებით მიმართა ანა ალლაძემ (პ/ნ 01024074653) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. საპროექტო წინადადება მოიცავს ქალაქ



თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) რომლის ფართობია 10 000 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს2). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (პზ). ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) მოხვედრა შესაძლებელია კახეთის გზატკეცილის გავლით გ. ამილახვარის ქუჩიდან, რომელიც ტერიტორიას უშუალოდ დასავლეთით ესაზღვრება. ტერიტორია ხვდება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღვეველი ზედაპირებით შემოფარგლული არეოდრომის რაიონში“ (აფრენისას სიმაღლის აღების და დაფრენაზე შესვლის ზედაპირების ნაწილი) შენობა-ნაგებობის დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან უმეტეს ნაწილზე 515 მ, ხოლო მცირე ნაწილზე - 513. პროექტირებისას გასათვალისწინებელია აღნიშნული შეზღუდვა, ან წარმოსადგენია შ.პ.ს. „ტავ ურბან საქართველოს“ (ს/კ 206203491) სათანადო წესით დამოწმებული წერილი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული კვარტალი ჩამოყალიბებულია მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, ხოლო ტერიტორიის დასავლეთით არსებული გზის გადაღმა ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2, სადაც აღინიშნება არასისტემური ინდივიდუალური განაშენიანება და მდინარე ფორაქანისხევი. 2018 წლის 22 მარტის AR1587456 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას. იგეგმება სამედიცინო ქირურგიული ძაფების საწარმო ობიექტის და 3 დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსება. საპროექტო წინადადების შესაბამისად, ასევე, გათვალისწინებულია ტერიტორიის უმეტესი ნაწილის გამწვანება და სარეკრეაციო-დასასვენებელი სივრცის მოწყობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია AR1587456 განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების სრულყოფის გეგმის არეალის განვითარება მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის (ს-2) შესაბამისად, საწარმოო კომპლექსის მოწყობის მიზნით შემდეგი პირობით: გათვალისწინებული და დაცული იქნეს შ.პ.ს „ტავურბანსაქართველოს“ (ს/კ206203491) შეზღუდვა. შენობა ნაგებობის დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე 515 მ, ხოლო მცირე ნაწილზე - 513 მ. ქალაქის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) 2018 წლის 22 მარტის AR1587456



განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად განვითარება, მიზანშეწონილია. წარმოდგენილი პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.tas.ge](http://www.tas.ge) რეგისტრირებული განაცხადი №AR1587456) პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12 000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031819252-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა თამარ კაციტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004) ჯამში ტერიტორიის ფართობი შეადგენს 12.000კ ვ.-ს, სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების მოთხოვნით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა მოიცავს, როგორც წესი თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია საცხოვრებელი ქვეზონების შესაბამისი ფუნქციებით. ქალაქთან კავშირი ხორციელდება



გრუნტის გზის მეშვეობით, რომელზე მოხვედრაც შესაძლებელია მარნეულის გზატკეცილიდან ლ.ლოლობერიძის ქუჩის გავლით. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით. (რზ-3) ასევე, საპროექტო წინადადებით იგეგმება სააგარაკე, დასასვენებელი სახლების განთავსება; პროექტის მიზანია გამწვანებული სააგარაკე დასახლების შექმნა. აღნიშნულის განსახორციელებლად საპროექტო წინადადებით დადგენილია საპროექტო ზონაში (რზ-3) დასაშვებზე დაბალი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: მაქსიმალური კ-1=0,2; მაქსიმალური კ-2=0,2; მინიმალური კ-3=0,5; დადგენილია, რომ „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N405 განკარგულებით აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.tas.ge](http://www.tas.ge) რეგისტრირებული AR1454937 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად. წარმოდგენილ შემთხვევაში დასტურდება, რომ ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით რაც შესაძლებელს ხდის შემოთავაზებული საპროექტო წინადადების განხორციელებას. ასევე, ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ქალაქგეგმარებითი პირობების გაუმჯობესება, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით სრულიად შენარჩუნებულია არსებული ჯანსაღი ხე-ნარგავები და დაცულია მათი სასიცოცხლო უნარების შენარჩუნებისთვის აუცილებელი გასხვისების არეალები (არსებული ხე-ნარგავებიდან არანაკლებ 3მ); ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება სარეკრეაციო ქვეზონით, სარეკრეაციო ზონა 3-ით; ტერიტორიის განვითარება იგეგმება სარეკრეაციო ზონა 3-ში დადგენილზე დაბალი კოეფიციენტებით. დადგენილი კ-1=0,3; კ-2=1,0; კ-3=0,5; საპროექტო მაქსიმალური კ-1=0,2; კ-2=0,2; მინიმალური კ-3=0,5.

*სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, მასზე რომ დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12 000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების პროექტი (საქმე №12-031819252-03 AR1495502), (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის*



*ელექტრონულ გვერდზე [www.tas.ge](http://www.tas.ge) რეგისტრირებული AR1495502. განაცხადი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

8. ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, როსტეევანის ქ. N61, ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022, ფართობი: 15254.00 კვ. მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე (12-031820542-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა თამარ კაციტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, კი საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1 განსაზღვრავს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითად დასაშვებ და საგამონაკლისოდ სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვებ სახეობებს. აღნიშნული დანართი 1-ის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5) სასამართლო წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისოდ დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. ინტერაქტიული რუკის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება პერიფერიული ზონა (პზ) და გეგმარებითი კარკასი (გკ). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერიფერიული ზონა არის დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი; ხოლო ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გეგმარებითი კარკასი (გკ) არის დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი



ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. დადგენილია, რომ „ქ. თბილისში, სოფელ დილოში, როსტევეანის ქუჩა N61-სა და დავით აღმაშენებლის ხეივანის N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 ივნისის N145 განკარგულებით აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით, დაგეგმილია სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხურის შენარჩუნებით) განთავსება, სადაც სატრანსპორტო კავშირი დაგეგმილია როსტევეანის ქუჩის მხრიდან. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე, სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია არსებული ფუნქციური ზონის ფრაგმენტული ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით. საპროექტო ტერიტორია და მისი მიმდებარე არეალი, წარმოადგენს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ტერიტორიას, თუმცა, ბოლო წლებში უმეტესწილად სასაწყობო და საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით განვითარებულ ტერიტორიას. მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია სასამართლოს შენობა-ნაგებობა. ამასთან, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურით. განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ტერიტორიის საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ით განვითარება და დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის - 2,1-ის ნაცვლად კ-2=2,9 ათვისება. მიწის ნაკვეთზე სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის გარდა დაგეგმილია დამხმარე (საგენერატორო) შენობის განთავსებაც. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სარეკრეაციო სივრცის შექმნა და ავტოსადგომებით უზრუნველყოფა. განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20%-ის მწვანე ნარგავების გასაშენებელ სივრცედ გამოყენება, ამასთანავე, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით, ამავე წესების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს თბილისის მერიის სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული



ერთეულები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულები ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის N16-01182003235 წერილის თანახმად, აღნიშნული პროექტისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების ეტაპზე სატრანსპორტო სამსახურმა ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განსაზღვრა ის მაკორექტირებელი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების სრულფასოვანი სატრანსპორტო უზრუნველყოფისათვის. სამსახურს სხვა დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია, შესაბამისად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის გაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ასევე წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის N18-01181993175 წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წარმოდგენილი პროექტის თემატური ნაწილი მოიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით), რომლის მიმართაც სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია რომ, გადასარგავი და მოჭრის საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა განისაზღვროს გრგ-ს მიხედვით გათვალისწინებული თითოეული საკადასტრო ერთეულისთვის მომზადებულ დენდროლოგიურ პროექტში. ამასთან, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 51 პუნქტი)“.

*გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიაზე მოქმედებს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის შეზღუდვა ასევე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიერ დადგენილი წყალსადენების სანიტარულ ზოლის შეზღუდვა.*

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, განთავსებულია არსებული სასამართლოს შენობა, დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება ხდება ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენების მიზნით ასევე, დაცულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პირობები, მიზანშეწონილია მოცემულ ტერიტორიაზე, სასამართლოსა და მისი დამხმარე შენობა-ნაგებობების (საგენერატორო და არსებული



სატრანსფორმატორო ჯიხური) განთავსების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქალაქ თბილისში, სოფელი დილომი, როსტევანის ქ. N61, ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022, ფართობი: 15254.00 კვ. მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

9. ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ივლისის N18.596.904 განკარგულებით განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (12-0318207147-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა თამარ კაციტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში რკინიგზის სადგურ „ლილოს“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ N01.19.15.003.089; ჯამური ფართობი 44616 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2). საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე განაშენიანება უკვე ჩამოყალიბებულია დადგენილი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ტერიტორიას სამხრეთით, დაახლოებით 400 მეტრში, ესაზღვრება კახეთის გზატკეცილი, რომელთან კავშირიც ხდება 16 მეტრის სიგანის ჩიხით და ემსახურება უკვე არსებულ საწარმოო კვარტალს. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია საჭირო საინჟინრო ინფრასტრუქტურით და გამწვანებულია პერიმეტრულად, სადაც ფიქსირდება 141 მწვანე ნარგავი. საპროექტო ტერიტორია ხვდება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღვეველი ზედაპირებით შემოფარგლული არეოდრომის რაიონში“, რასთან დაკავშირებითაც N01181422385-67 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ტავ ურბან საქართველოს“ თანხმობა 21 (ოცდაერთი) მეტრი მაქსიმალური სიმაღლის მქონე აირბეტონის ბლოკის ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 ოქტომბრის N3585950 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სექტორი სამგორი, რკინიგზის



სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) არსებული შენობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურ „ლილო“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) სამეურნეო საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 მაისის N92 განკარგულებით, საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება სამეურნეო საწარმოო ობიექტების მშენებლობის მიზნით. საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება სამრეწველო ზონის შესაბამისად საწარმოო, კერძოდ სამშენებლო ბლოკის (აირბეტონის) ქარხნისა და სასაწყობე კომპლექსის მოწყობის მიზნით. სასაწყობე კომპლექსის მოწყობის მიზანია უსაფრთხო საწარმოო და სასაწყობე მეურნეობის შექმნა იმგვარად, რომ მავნე ზეგავლენა არ მოახდინოს ქალაქზე. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას. გარდა ამისა, იგეგმება ორი ახალი საწარმოო/სასაწყობე შენობა-ნაგებობის განთავსება. ერთი არსებული შენობის რეკონსტრუქცია და მეორე - ღია სასაწყობე სივრცეების მოწყობა. შენობანაგებობების მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 21მ-ს. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით არ იგეგმება დამატებითი გამწვანება, ვინაიდან ტერიტორიაზე აღინიშნება 141 არსებული მწვანე ნარგავი, რომელიც შენარჩუნდება. ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) ხვდება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღვეველი ზედაპირებით შემოფარგლული არეოდრომის რაიონში“. N01181422385-67 განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული შეზღუდვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 20 ივლისის N16-01182011067 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 23 ივლისის N18-01182042413 წერილის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის წარმოდგენილი პროექტი თემატური ნაწილი მოიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით).


*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge)*



რეგისტრირებული 01181422385-67 (01181663440-67) განაცხადი გატანილ იქნეს  
საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ  
რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

Handwritten signature in blue ink, reading "რ. სოხაძე" (R. Sochadze), enclosed in a blue oval.

რევაზ სოხაძე